საქართველო მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულო
GEORGIA MARNEULI MUNICIPALITY REPRESENTATIVE BODY

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა

№ 207

19 09 2014 წელი

მარნეულის მუნიციპალიტეტის სოციალური პროგრამის დამტკიცების შესახებ

მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 19 სექტემბრის სხდომის №16 ოქმის მუ-3 საკითხის შესაბამისად, მარნეულის მუნიციპალიტეტის გამგებლის 2014 წლის 16 სექტემბრის №05-1/2187 წერილით (რეგ. №05/3720. 16.09.2014 წ) შემოსული მარნეულის მუნიციპალიტეტის გამგეობის ჯანდაცვის, სოციალური უზრუნველყოფის, კულტურისა და სპორტის სამსახურის 2014 წლის 16 სექტემბრის №318/1 წერილით წარმოდგენილი დოკუმენტაციის გათვალისწინებით

1. დამტკიცდეს მარნეულის მუნიციპალიტეტის 2014 წლის სოციალური დახმარების პროგრამა და მისი გაცემის წესი (თან ერთვის დანართი №1).

2. მარნეულის მუნიციპალიტეტის გამგებელმა შესაბამისი სამსახურების მონაწილეობით უზრუნველყოს ბიუჯეტში გათვალისწინებული თანხების განაწილება დამტკიცებული პროგრამის შესაბამისად.

3. მიეცეს უფლება მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სოციალურ საკითხთა კომისიას, განსაკუთრებულ შემთხვევაში, როდესაც საკითხი არ ჯდება წინამდებარე განკარგულებით დამტკიცებულ პროგრამაში, მოახდინოს საკითხის შესწავლა, დასკვნის მომზადება და საკრებულოს სხდომაზე დადებითი გადაწყვეტილების შემთხვევაში, საოქმო დავალებით გადაგზავნა მარნეულის მუნიციპალიტეტის გამგეობის შესაბამის სამსახურში შესასრულებლად.

4. ძალადაკარგულად ჩაითვალოს მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 2 სექტემბრის №200 განკარგულება „მარნეულის მუნიციპალიტეტის 2014 წლის სოციალური პროგრამის დამტკიცების შესახებ".

5. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს ბოლნისის რაიონული სასამართლოს მარნეულის მუნიციპალიტეტის მაგისტრატ მოსამართლესთან (მის: ქ. მარნეული, ნარიმანოვის ქუჩა №4), მისი ოფიციალური წესით გაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში.

6. კონტროლი აღნიშნული განკარგულების შესრულებაზე დაეკისროს მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სოციალურ საკითხთა კომისიის თავმჯდომარეს რაფიელ მუსაევს და მარნეულის მუნიციპალიტეტის გამგებლის პირველ მოადგილეს ზაურ ტაბატაძეს.

05/5735
23/09/14

მარნეულის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარე: ნანა ამდუნაური

383130 ქ. მარნეული, რუსთაველის ქ. №73 ☎ 22 53 07 // 22 26 26 RUSTAVELI str MARNEULI

დანართი №1

მარნეულის მუნიციპალიტეტის 2014 წლის ადგილობრივი ბიუჯეტიდან ერთჯერადად სოციალური დახმარების გაცემის წესი.

ეს წესი განსაზღვრავს მარნეულის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებულ მოსახლეობისთვის, აგრეთვე მარნეულის მუნიციპალიტეტში დროებით რეგისტრირებული დევნილი მოსახლეობისთვის, ადგილობრივი ბიუჯეტიდან სოციალური დახმარების გაცემის პირობებს, მიმღებთა (ბენეფიციართა) კატეგორიებს, მათ მიერ მუნიციპალიტეტში წარმოსადგენი დოკუმენტაციის სახით, გასაცემი თანხის ოდენობებს.

სოციალური დახმარების მიმღები (ბენეფიციართა) კატეგორიები და დახმარების მისაღებად საჭირო დოკუმენტაცია

მუხლი I.

საჭიროების მქონეებში ერთჯერადად მოსახლეობის დახმარება გამოკვლევა-მკურნალობით და მედიკამენტებით. (სიღარიბისმოწმობის ამონაწერის წარმოდგენით 0-120000 ქულამდე)

1. დახმარების მიმღებს(ბენეფიციარს) დახმარება გაეწევა ერთჯერადად 80%-მდე არა უმეტეს 600 ლარის ოდენობით.
2. პროგრამაში მონაწილეობის მსურველმა ბენეფიციარმა ან მისი ოჯახის სრულწლოვანმა წევრმა, მუნიციპალიტეტში უნდა წარმოადგინოს:
   ა) განცხადება გამგებლის სახელზე;
   ბ) განმცხადებლის და დახმარების მიმღების პირადობის მოწმობის ასლი;
   გ) ცნობა ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ (ფორმა №100);
   დ) ანგარიშ– ფაქტურა შესაბამისი აფთიაქიდან ან სტაციონარიდან.
   ე) სიღარიბის მოწმობის ამონაწერი 0-დან 120000 ქულამდე.
3. ანაზღაურება მოხდება უნაღდო ანგარიშსწორების ფორმით შესაბამისი აფთიაქის ან სტაციონარის საბანკო ანგარიშზე.

მუხლი II.

მკვეთრად, და მნიშვნელოვნად შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა ერთჯერადად რეაბილიტაციის, გამოკვლევა – მკურნალობის და მედიკამენტებით დახმარების პროგრამა.

დახმარების მიმღებს დახმარება გაეწევა ერთჯერადად 80%-მდე არაუმეტეს 600 ლარის ოდენობით.

1. პროგრამაში მონაწილეობის მსურველმა დახმარების მიმღებმა (ბენეფიციარმა) ან მისი ოჯახის სრულწლოვანმა წევრმა, მუნიციპალიტეტში უნდა წარმოადგინოს:

   ა) განცხადება გამგებლის სახელზე;
   ბ) განმცხადებლის და დახმარების მიმღების პირადობის მოწმობის ასლი;
   გ) ცნობა ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ (ფორმა №100);
   დ) ანგარიშ –ფაქტურა შესაბამისი აფთიაქიდან ან სამედიცინო დაწესებულებიდან:
2. ცნობა შეზღუდულიბ შესაძლებლობის მქონე პირის:
3. ანაზღაურება მოხდება უნაღდო ანგარიშსწორების ფორმით შესაბამისი აფთიაქის ან სტაციონარის საბანკო ანგარიშზე

მუხლი III.

- იძულებით გადაადგილებული პირთაერთჯერადად გამოკვლევა - მკურნალობა და მედიკამენტებით დახმარების პროგრამა.

1. დახმარების მიმღებს (ბენეფიციარს) დახმარება გაეწევა ერთჯერადად 80 %-მდე არა უმეტეს 600 ლარის ოდენობით.
2. პროგრამაში მონაწილეობის მსურველმა დახმარების მიმღებმა (ბენეფიციარმა) ან მისი ოჯახის სრულწლოვანმა წევრმა, მუნიციპალიტეტში უნდა წარმოადგინოს:

ა) განცხადება გამგებლის სახელზე;
ბ) განმცხადებლის და დახმარების მიმღების პირადობის მოწმობის ასლი;
გ) ცნობა ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ (ფორმა №100);
დ) ანგარიშ-ფაქტურა შესაბამისი აფთიაქიდან ან სტაციონარიდან.
ე) დევნილობის მოწმობის ასლი;

3. ანაზღაურება მოხდება უნაღდო ანგარიშსწორების ფორმით შესაბამისი აფთიაქის ან სტაციონარის საბანკო ანგარიშზე.

მუხლი IV.

- მე-II მსოფლიო ომისა და საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისათვის მებრძოლ ვეტერანთა ერთჯერადად მედიკამენტებით დახმარების პროგრამა.

1. დახმარების მიმღებს (ბენეფიციარს) დახმარება გაეწევა ერთჯერადად 80 %-მდე არა უმეტეს 600 ლარის ოდენობით.
2. პროგრამაში მონაწილეობის მსურველმა დახმარების მიმღებმა (ბენეფიციარმა) ან მისი ოჯახის სრულწლოვანმა წევრმა, მუნიციპალიტეტში უნდა წარმოადგინოს:

ა) განცხადება გამგებლის სახელზე;
ბ) განმცხადებლის და დახმარების მიმღების პირადობის მოწმობის ასლი;
გ) ცნობა ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ (ფორმა №100);
დ) ანგარიშ-ფაქტურა შესაბამისი აფთიაქიდან;
ე) ვეტერნობის მოწმობის ასლი;

3. ანაზღაურება მოხდება უნაღდო ანგარიშსწორების ფორმით შესაბამისი აფთიაქის საბანკო ანგარიშზე.

მუხლი V.

ონკოლოგიური, ლეიკემიით, და გულით დაავადებული მოქალაქეების გამოკვლევა-მკურნალობით, ოპერაციით და მედიკამენტებით დახმარების პროგრამა.

1. დახმარების მიმღებს (ბენეფიციარს) დახმარება გაეწევა ეტაპობრივად 80%-მდე არა უმეტეს 800 ლარის ოდენობით.
2. პროგრამაში მონაწილეობის მსურველმა დახმარების მიმღებმა (ბენეფიციარმა) ან მისი ოჯახის სრულწლოვანმა წევრმა, მუნიციპალიტეტში უნდა წარმოადგინოს:

ა) განცხადება გამგებლის სახელზე;
ბ) განმცხადებლის და დახმარების მიმღების პირადობის მოწმობის ასლი;
გ) ცნობა ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ (ფორმა №100);
დ) ანგარიშ-ფაქტურა შესაბამისი აფთიაქიდან ან სამედიცინო დაწესებულებიდან;

3. ანაზღაურება მოხდება უნაღდო ანგარიშსწორების ფორმით შესაბამისი აფთიაქის ან სტაციონარის საბანკო ანგარიშზე.

მუხლი VI.

მიცვალებულთა სარიტუალო მომსახურება.

1. მუნიციპალიტეტის ბიუჯეტიდან ანაზღაურდება შემდეგი სახის სარიტუალო მომსახურება:

ა) მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული მე-II მსოფლიო ომის მონაწილეთა გარდაცვალების სარიტუალო მომსახურება;

ბ) მუნიციპალიტეტში რეგისტრირებულ საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისთვის მებრძოლთა გარდაცვალების სარიტუალო მომსახურება;

გ) მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული იძულებით გადაადგილებულ პირთა გარდაცვალების სარიტუალო მომსახურება;

დ) უპატრონო მიცვალებულთა სარიტუალო მომსახურება.

2. მუნიციპალიტეტში წარმოსადგენი შესაბამისი დოკუმენტაციაა:

ა) დაკრძალვის ხარჯის მიმღები პირის განცხადება გამგებლის სახელზე;

ბ) განმცხადებლის პირადობის ასლი;

გ) გარდაცვალების მოწმობის ასლი;

დ) გარდაცვლილი ვეტერანის მოწმობის ასლი;

ე) იძულებით გადაადგილებული პირის მოწმობის ასლი;

ვ) ინფორმაცია ტერიტორიული ორგანოდან გარდაცვლილის უპატრონობის შეახებ;

ზ) საბანკო ანგარიში

3. თანხა გაიცემა 250 (ორას ორმოცდაათი) ლარის ოდენობით.

4. ანაზღაურება მოხდება უნაღდო ანგარიშწორების ფორმით ბანკში გახსნილ პირად ანგარიშზე.

მუხლი VII.

ასი და მეტი წლის ასაკის უხუცეს დღეგრძელთა ერთჯერადი დახმარების პროგრამა.

1. ერთჯერად 200 (ორასი) ლარის დაფინანსებას მიიღებენ მარნეულის მუნიციპალიტეტში მცხოვრები მოქალაქეები, რომელთაც შეუსრულდათ ასი და მეტი წელი.

2. დახმარების მისაღებად მოქალაქემ უნდა წარმოადგინოს შემდეგი სახის დოკუმენტაცია:

ა) განცხადება გამგებლის სახელზე;

ბ) პირადობის მოწმობის ასლი;

გ) საბანკო ანგარიში;

3. ანაზღაურება მოხდეაბა უნაღდო ანგარიშწორების ფორმით ბანკში გახსნილ

პირად ანგარიშზე

მუხლი VIII.

საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისთვის დაღუპულ ჯორჯაცთა (13 ოჯახი) ოჯახების ყოველთვიური დახმარების პროგრამა.

1. მუნიციპალიტეტისბიუჯეტიდან სოციალური დახმარება გაეწევა დაღუპულ მეომართა ოჯახებს.

2. ამ მუხლით გათვალისწინებული ოჯახები დახმარებას მიიღებენ ყოველთვიურად 100 ლარის ოდენობით;

3. მუნიციპალიტეტში წარსადგენი დოკუმენტებია:

ა) დოკუმენტი (დოკუმენტები) რომელიც დაადასტურებს გარდაცვლილთან ნათესაურ

(მეუღლე, მშობლები და შვილები)ურთიერთობას;

გ) საბანკო ანგარიში;

4) ანაზღაურება მოხდება უნაღდო ანგარიშსწორების ფორმით ბანკში გახსნილ პირად ანგარიშზე;

მუხლიIX.

დევნილთა (ახალშობილის შეძენასთან დაკავშირებით) ოჯახების ერთჯერადი სოციალური დახმარების პროგრამა.

მუნიციპალიტეტის ბიუჯეტიდან სოციალური დახმარება გაეწევათ დევნილ ოჯახებს ახალშობილის შეძენასთან დაკავშირებით, I და მე-2 ბავშვზე 200 ლარი, მე-3 ბავშვზე 300 ლარი მე-4 და მეტის შემთხვევაში თანხა ეფუძნებოდეს 100 ლარით.

1 .მუნიციპალიტეტში წარმოსადგენი შესაბამისი დოკუმენტაციაა:

ა) განცხადება გამგებლის სახელზე;

ბ) განმცხადებლის პირადობის ასლი;

გ) განმცხადებლის (მშობლები) დევნილობის მოწმობის ასლი;

დ) ახალშობილის დაბადების მოწმობა;

ე) საბანკო ანგარიში;

2. ანაზღაურება მოხდება უნაღდო ანგარიშწორების ფორმით ბანკში გახსნილ პირად ანგარიშზე.

მუხლი X.

უდედმამო ბავშვების ერთჯერადი სოციალური დახმარების პროგრამა.

1. უდედმამო 0-დან 18 წლამდე ბოზარდს დახმარება გაეწევა, თითოეულს 200 ლარის ოდენობით;

2. უდედმამო ბავშვის მეურვემ/მზრუნველმა მუნიციპალიტეტში უნდა წარმოადგინოს:

ა) განცხადება გამგებლის სახელზე;

ბ) პირადობის მოწმობის ასლი;

დ) გადაწყვეტილებასოციალური მომსახურების სააგენტოს ინფორმაციიდან ბავშვის მეურვეობის ვინაობის შესახებ;

ე) ბავშვების დაბადების მოწმობის ასლები;

ვ) განმცხადებლის საბანკო ანგარიში;

3. ანაზღაურება მოხდება უნაღდო ანგარიშსწორების ფორმით ბანკში გახსნილ პირად ანგარიშზე;

მუხლი XI.

მარტოხელა დედების ერთჯერადი სოციალური დახმარების პროგრამა.

1. მუნიციპალიტეტის ბიუჯეტიდან მატერიალური დახმარება გაეწევათ ამ მუხლით გათვალისწინებული მარტოხელა დედებს ერთჯერადად 200 ლარის ოდენობით;

2. მოქალაქემ მუნიციპალიტეტში უნდა წარმოადგინოს:

ა) განცხადება გამგებლის სახელზე;

ბ) ბავშვის ან/ბავშვების დაბადების მოწმობა;

(ვ) მარტოხელა დედობის დამადასტურებელი დოკუმენტი;

დ) საბანკო ანგარიში;

3. ანაზღაურება მოხდება უნაღდო ანგარიშსწორების ფორმით ბანკში გახსნილ პირად ანგარიშზე.

მუხლი XII.

მრავალშვილიანი ოჯახების ერთჯერადი სოციალური დახმარების პროგრამა.

1. ამ მუხლით გათვალისწინებულ დახმარებას მიიღებენ მარნეულის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული სოციალურად დაუცველი (0-დან 80 000 ქულამე) მოსახლეობა;

2. ერთჯერადი200 (ორასი) ლარის დახმარებას მიიღებენ მარნეულის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული ოჯახები, რომელთაც ჰყავთ 4 და მეტი შვილი 0-დან 18 წლის ჩათვლით.

3. დახმარების მისაღებად მოქალაქემ უნდა წარმოადგინოს შემდეგი სახის დოკუმენტაცია:

ა) განცხადება გამგებლის სახელზე;
ბ) პირადობის მოწმობის ასლი;
გ) შვილების დაბადების მოწმობის ასლები;
დ.) საბანკო ანგარიში;

4. ანაზღაურება მოხდება უნაღდო ანგარიშსწორების ფორმით ბანკში გახსნილ პირად ანგარიშზე.

მუხლი XIII.

სტუდენტებისერთჯერადი დახმარების სოციალური პროგრამა.

1. ოჯახებს, რომელთაც 2 ან მეტი შვილი სწავლობს აკრედიტებულ სახელმწიფო სასწავლებელშიდა რეგისტრირებულია სოციალურად დაუცველთა ბაზაში (0–120000– ქულამდე) გაეწეოთ თანადაფინანსება თითოეულ სტუდენტს 500 ლარის ოდენობით;

სტუდენტმა მუნიციპალიტეტში უნდა წარმოადგინონ:
ა) განცხადება გამგებლის სახელზე;
ბ) ანგარიშ-ფაქტურა აკრედიტებულ სასწავლებლიდან თანხის ოდენობისა და შესაბამისი სასწავლებლის რეკვიზიტების შესახებ;

გ) პირადობის და დაბადების მოწმობის ასლები;
დ) მშობლების პირადობის ასლები;
დ) ანგარიშსწორება მოხდება უნაღდო ანგარიშსწორებით;.
ე) სიღარიბის მოწმობის ამონაწერი 0-დან 120000 მდე ქულით.

2. ობოლი სტუდენტების თანადაფინანსება 500 ლარის ოდენობით:
სტუდენტმა მუნიციპალიტეტში უნდა წარმოადგინონ:
ა) განცხადება გამგებლის სახელზე;
ბ) ანგარიშ-ფაქტურა აკრედიტებულ სასწავლებლიდან თანხის ოდენობისა და შესაბამისი სასწავლებლის რეკვიზიტების შესახებ;

გ) პირადობის მოწმობის ასლი;
დ) მშობლის გარდაცვალების მოწმობა;
ე) ანგარიშსწორება მოხდება უნაღდო ანგარიშსწორებით;

3. ოკუპირებული ტერიტორიიდან დევნილი სტუდენტების (სახელმწიფოს მიერ დაფინანსებული თანხის, დარჩენილის თანადაფინანსება) 500 ლარის ოდენობით.
სტუდენტმა მუნიციპალიტეტში უნდა წარმოადგინონ:
ა) განცხადება გამგებლის სახელზე;
ბ) ანგარიშ-ფაქტურა აკრედიტებულ სასწავლებლიდან თანხის ოდენობისა და შესაბამისი სასწავლებლის რეკვიზიტების შესახებ;
(ბ) ირადობის მოწმობის ასლი;
დ) დევნილობის დამადასტურებელი მოწმობა;
ე) ანგარიშსწორება მოხდება უნაღდო ანგარიშსწორებით;

მუხლი XIV.

–სოციალურად დაუცველი მოსახლეობის მიუსაფართა და უპოვართა ყოველთვიური „მინიმალური სასურსათო პროგრამა"

ამ მუხლით გათვალისწინებულ დახმარებას მიიღებენ ძარცეულის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული სოციალურად დაუცველი (57000-დან 60000 ქულამდე) ოჯახები ყოველთვიურად 30 ლარის ოდენობით.

I. დახმარების მიმღებმა მუნიციპალიტეტში უნდა წარმოადგინოს:

ა) განცხადება გამგებლის სახელზე;

ბ) სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ბაზაში რეგისტრაციის მოწმობის ასლი (57000-60000 ქულა);

გ) პირადობის მოწმობის ასლი;

დ) პირადი საბანკო ანგარიში;

მუხლი XV.

უსინათლოებისა და ყრუმუნჯთა პირთა ერთჯერადი მატერიალური დახმარების პროგრამა. თითოეულს 200 (ორასი) ლარის ოდენობით.

ამ მუხლით მიმღებმა ბენეფიციარებმა უნდა წარმოადგინონ შემდეგი სახის დოკუმენტაცია;

ა) განცხადება გამგებლის სახელზე;

ბ) უსინათლოს და ყრუ-მუნჯთა შესაბამისი დამადასტურებელი დოკუმენტი;

გ) პირადობის მოწმობის ასლი;

დ) პირადი საბანკო ანგარიში.

მუხლი XVI.

— მკვეთრადშეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა ეტლების შეძენის დახმარების პროგრამა.

ამ მუხლით მოსარგებლე ბენეფიციარებმა უნდა წარმოადგინონ შემდეგი სახის დოკუმენტაცია:

ა) განცხადება გამგებლის სახელზე;

ბ) ჯანმრთელობის ცნობა ფორმა №100

გ) ანგარიშ–ფაქტურა;

დ) პირადობის მოწმობის ასლი;

მუხლი XVII.

„ოპერაციების ერთჯერადად დახმარების პროგრამა

საყოველთაო სადაზღვევო პროგრამის მიერ პაციენტისთვის დაფინანსებული თანხის დარჩენილის (რომელიც აღემატება 500 ლარს) ანაზღაურება (500 ლარიდან 3000 ლარამდე) 50%-ით, (3000 ლარი და მეტი) ანაზღაურება 2000 ლარისა. ხელმისაწვდომობის მოწმობის 0-დან- 120000 ქულამდე წარმოდგენის შემთხვევაში.

I. პროგრამაში მონაწილეობის მსურველმა დახმარების მიმღებმა (ბენეფიციარმა) ან

მისი ოჯახის სრულწლოვანმა წევრმა, მუნიციპალიტეტში უნდა წარმოადგინოს:

ა) განცხადება გამგებლის სახელზე;

ბ) განმცხადებლის და დახმარების მიმღების პირადობის მოწმობის ასლი;

გ) ცნობა ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ (ფორმა №100);

დ) ანგარიშ – ფაქტურა შესაბამისი სტაციონარიდან

ეხლადობის მოწმობის ამონაწერი (0-დან 120000 ქულამდე)

2. ანახლაურება მოხდება უნაღდო ანგარიშსწორების ფორმით შესაბამისი სტიპენდიარის
საბანკო ანგარიშზე.

მუხლი: XVIII

„ერთჯერადი მატერიალური დახმარების პროგრამა"
1. დახმარება გაიცემა სოციალურად დაუცველ მოქალაქეებზე (60000-დან–70000 ქულამდე) არა უმეტეს 150 ლარისა.

პროგრამაში მონაწილეობის მსურველმა ბენეფიციარმა მუნიციპალიტეტში უნდა წარმოადგინოს:
ა) განცხადება გამგებლის სახელზე;

ბ) პირადობის მოწმობის ასლი;
გ) პირადი საბანკო ანგარიში;

დ) სიღარიბის მოწმობის ამონაწერი (60000-დან– 70000 ქულამდე)

2. განსაკუთრებული შემთხვევების დროს ერთჯერადი მატერიალური დახმარება გაიცემა კომისიის დასკვნის საფუძველზე არა უმეტეს 150 ლარისა.

მუხლი XIX

საახალწლო საჩუქარი, მარნეულის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებულ თითოეულ დევნილ ოჯახს და ომში დაღუპული მეომრების ოჯახს 100 ლარის ოდენობით.